

შპს „შვიდი მითი“

**2023 წლის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი	შენიშვნა	<u>31.12.2023</u>	<u>31.12.2022</u>
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		448 207	382 154
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		6 836 146	7 585 422
გადახდილი ავანსები		271 824	504 132
მარაგები	3.1.	5 162 822	4 536 839
სხვა მიმდინარე აქტივები		27 522	56 453
სულ მოკლევადიანი აქტივები		12 746 520	13 065 000
ძირითადი საშუალებები	3.2.	4 320 373	3 767 718
არამატერიალური აქტივები	3.2.	3 879	4 911
შვილობილ და მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის თვითღირებულება		618 383	618 383
სულ აქტივები		17 689 154	17 456 011
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	3.3.	1 449 278	2 017 811
საგადასახადო ვალდებულებები		108 113	29 811
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1 681 907	258 429
სასესხო ვალდებულებები	3.4.	2 425 252	4 557 479
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		5 664 550	6 863 529
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		12 024 504	10 592 383
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		17 689 154	17 456 011

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

საქმიანობის შედეგები

ქართული ლარი	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
განგრძობითი ოპერაციები:			
ამონაგები	3.5.	19 962 353	19 292 036
რეალიზებული მარაგების თვითღირებულება	3.5.	(15 027 638)	(14 482 323)
საერთო მოგება		4 934 715	4 809 713
მიწოდების ხარჯები	3.6.	(13 049)	(49 841)
დასაქმებულთა ანაზღაურება	3.6.	(1 920 298)	(1 814 871)
იჯარის ხარჯი		(18 651)	-
ცვეთა და ამორტიზაცია		(575 209)	(512 062)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	3.6.	(570 545)	(360 983)
საპროცენტო შემოსავალი		42 405	40 069
საპროცენტო ხარჯი		(418 510)	(429 745)
საოპერაციო (ზარალი)/მოგება		1 460 858	1 682 280
გაუფასურების ხარჯი/ რევერსირება		(218 646)	(105 488)
წმინდა შემოსულობა/ დანაკარგი სავალუტო ოპერაციებიდან		35 968	797 770
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3.7.	434 396	74 829
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3.8.	(99 315)	(17 794)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1 613 260	2 431 597
მოგების გადასახადის ხარჯი		(1 139)	(4 224)
წლის (ზარალი)/მოგება		1 612 122	2 427 372
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული (ზარალი)/მოგება		1 612 122	2 427 372

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	8 661 852	8 661 952
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 427 372	2 427 372
პარტნიორის დამატებითი შენატანი	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(496 842)	(496 842)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	10 592 382	10 592 482
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1 612 122	1 612 122
პარტნიორის დამატებითი შენატანი	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(180 000)	(180 000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	12 024 504	12 024 604

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2023 წ.	2022 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23 911 369	22 383 601
გადახდილი გასამრჯელოები	(1 519 043)	(1 392 694)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(15 987 332)	(15 501 196)
გადახდილი გადასახადები	(3 886 634)	(3 872 860)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	946 849	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	3 465 208	1 616 850
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(790 473)	(779 092)
მიღებული პროცენტები	42 405	40 069
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(748 068)	(739 023)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	8 541 933	8 872 998
მიღებული სესხის გადახდა	(10 641 520)	(9 506 258)
სესხის გაცემა	(479 568)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	488 997	-
გაცემული დივიდენდები	(171 000)	(472 000)
გადახდილი პროცენტები	(418 510)	(429 745)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(2 679 668)	(1 535 005)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	37 472	(657 177)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	382 154	1 078 893
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	28 581	(39 562)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	448 207	382 154

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე _____

**2023 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შვიდი მითი“ (შემდგომში – კომპანია ან ჯგუფი) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2009 წლის 23 თებერვალს თბილისის საგადასახადო ინჰექციის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 205273595, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ლ. გოთუას ქ. N10-12. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი:

რამაზ ანდლულაძე (01010000271) - 100%;

1.3. კომპანიის დირექტორია რამაზ ანდლულაძე.

1.4. ჯგუფის მშობელი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ინგრედიენტების ან/და დამხმარე მასალების (მ.შ. ტარა მასალების) იმპორტი და რეალიზაცია. შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ქონების იჯარით გადაცემა.

1.5. ჯგუფში შედის ერთი შვილობილი საწარმო. შპს „რიმ 2014“ (ს/კ 405075671), რომლის კაპიტალში წილობრივი მონაწილეობა შეადგენს 100%-ს. ამ შვილობილი საწარმოს ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა უძრავი ქონების იჯარით გადაცემა.

1.6. ჯგუფის მშობელ საწარმოს ჰყავს მეკავშირე საწარმოები. მეკავშირე საწარმოები რეგისტრირებულნი არიან უკრაინაში, ამ საწარმოების წილი (კონტროლის გარეშე) შეძენილ იქნა 2022 წლის საანგარიშო პერიოდში:

შპს კვფ ტრეიდი 32797891

შპს ეკო რესურს უკრაინა 37628504

შპს ეკო პრომ აქტივი 41454919

1.7. 2023 წლის მდგომარეობით, ჯგუფის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენდა 45 კაცს.

1.8. ჯგუფის საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, ჯგუფი წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, ჯგუფს არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

ჯგუფის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო

განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება სამუშაო ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური

იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების, ასევე შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები ჯგუფის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2017-2023 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.7020 ლარი; 1 EUR=2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. მარაგები:

ჯგუფის მარაგები შემდეგი შემადგენლობისაა:

ლარი	31.12.2023	31.12.2022
შემდგომი გაყიდვის მიზნით შეძენილი საქონელი	3 754 616	3 165 215
მზა პროდუქცია	332 741	265 172
ნედლეული და მასალები	1 071 993	1 104 223
სხვა მარაგები	3 472	2 229
სულ მარაგები	5 162 822	4 536 839

3.2. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები:

ლარი	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივები	სულ
ისტორიული ღირებულება							
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	2 420 533	198 105	132 818	13 089	6 520 855
შესყიდვები	-	-	708 938	38 751	382 082	-	1 129 770
გასვლები	-	-	-	-	(14 697)	-	(14 697)
ისტორიული ღირებულების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	295 034	3 461 277	3 129 471	236 855	500 202	13 089	7 635 928
ცვეთა							
ცვეთის ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1 040 127)	(1 423 504)	(161 821)	(114 596)	(8 178)	(2 748 226)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(149 536)	(397 554)	(16 365)	(10 721)	(1 032)	(575 209)
გასვლები	-	-	-	-	11 758	-	11 758
ცვეთის ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1 189 663)	(1 821 058)	(178 185)	(113 560)	(9 210)	(3 311 677)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
2022 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 421 150	997 029	36 284	18 221	4 911	3 772 629
2023 წლის 31 დეკემბრის	295 034	2 271 613	1 308 413	58 670	386 642	3 879	4 324 251

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

3.3. სავაჭრო ვალდებულებები

ლარი	31.12.2023	31.12.2022
სავაჭრო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში	116 351	126 166
სავაჭრო ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში	1 332 927	1 891 644
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1 449 278	2 017 811

3.4. მიღებული სესხები:

ჯგუფის სასესხო ვალდებულებები როგორც 31.12.2022 წ., ასევე 31.12.2023 წ. მდგომარეობით, მთლიანად შედგებოდა „პროგრედიტ ბანკიდან“ აღებული სესხებისაგან.

ლარი	31.12.2023	31.12.2022
მიღებული მოკლევადიანი სესხები	805 611	3 243 953
მიღებული გრძელვადიანი სესხები	1 619 641	1 313 525
სულ მიღებული სესხები	2 425 252	4 557 479

3.5. ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

ლარი	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები საქონლის გაყიდვიდან	19 791 069	19 017 617
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	171 284	274 419
გაყიდვების თვითღირებულება	(15 027 638)	(14 482 323)
სულ ამონაგები და რეალიზებული საქონლის ღირებულება	4 934 715	4 809 713

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.6. საანგარიშგებო პერიოდის საოპერაციო ხარჯები:

2022 და 2023 წლებში მიწოდების, საერთო-ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შედგებოდა:

ლარი	2023 წ.	2022 წ.
მიწოდებასთან დაკავშირებული ოპერაციები	13 049	49 841
ხელფასი	1 897 750	1 794 141
სავალდებულო საპენსიო შენატანი	22 548	20 730
მივლინების ხარჯი	94 771	59 117
საოფისე ხარჯი	9 141	7 477
კომუნალური ხარჯი	93 799	66 448
კომუნიკაციის ხარჯი	20 542	8 607

კომპიუტერის ხარჯი	5 848	4 773
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	95 517	84 633
დაზღვევა	13 056	8 956
საგადასახადო ხარჯი	44 419	36 517
საბანკო ხარჯი	126 133	48 344
მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯი	10 255	5 243
წარმომადგენლობითი ხარჯი	48 540	23 905
რემონტის ხარჯი	-	1 390
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	8 526	5 573
სულ მიწოდების და საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	2 503 892	2 225 695

3.7. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

ლარი	2023 წ.	2022 წ.
უსასყიდლო ოპერაციები ან/და ვალდებულების კორექტირება	395 468	62 669
ინვენტარიზაციის შედეგობა	32 569	11 231
სხვა შემოსავალი	6 359	598
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	434 396	74 499

3.8. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

ლარი	2023 წ.	2022 წ.
გადახდილი ჯარიმები და საურავები	5 685	1 612
ზარალი გრძელვადიანი აქტივების გასვლიდან	2 939	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	90 691	16 181
სულ სხვა არასაოპერაციო ხარჯი	99 315	17 794

3.9. მოგების განაწილება და მოგების გადასახადი

2023 წელს კომპანიის პარტნიორმა გადაწყვიტა გასულ მიღებული მოგების ნაწილობრივი განაწილების შესახებ 180 000 ლარის ოდენობით. შესაბამისად, 2023 წელს ჯგუფს, 2008-2016 წწ. პერიოდში გადახდილი და ჩასათვლელი მოგების გადასახადის გათვალისწინებით, წარმოეშვა მოგების გადასახადის ხარჯი, რამაც ჯამში 1 139 ლარი შეადგინა.

3.10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაქვეყნებლად ნებადართულია ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, ჯგუფის ეკონომიკურ საქმიანობაში სხვა საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

ღარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	8 661 852	8 661 952
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	2 427 372	2 427 372
პარტნიორის დამატებითი შენატანი	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(496 842)	(496 842)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	10 592 382	10 592 482
მოგება და სხვა სრული შემოსავალი წლის განმავლობაში	-	1 612 122	1 612 122
პარტნიორის დამატებითი შენატანი	-	-	-
განაწილებული დივიდენდი	-	(180 000)	(180 000)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	100	12 024 504	12 024 604


დირექტორი

რამაზ ანდლულაძე რამაზ ანდლულაძე

საქმიანობის შედეგები

კატეგორია	შენიშვნა	2023 წ.	2022 წ.
გაყიდვითი ინტერესები			
აქტივები	3.5.	19 962 353	19 292 036
რეალიზებული მოგების იყვანვებულმა	3.5.	(15 027 638)	(14 482 323)
ბეზოპო მოგება		4 934 715	4 809 713
მფლობელების ხარჯები	3.6.	(13 049)	(49 841)
დასტურებული ანულოვება	3.6.	(1 920 298)	(1 814 871)
იჯარის ხარჯი		(18 651)	-
ფულადი და აქტივების		(575 209)	(512 062)
ფინანსური და სხვა სააქტივო ხარჯი	3.6.	(570 545)	(360 983)
საპროექტო შემოსავალი		42 405	40 069
საპროექტო ხარჯი		(418 510)	(429 745)
სააქტივო (ზარალი)/მოგება		1 460 858	1 682 280
გადასახდების ხარჯი/რეკონსტრუქცია		(218 646)	(105 488)
წმინდა შემოსულობა/დანაკარგი სავალუტო ინტერაციებიდან		35 968	797 770
სხვა არსააქტივო შემოსავალი	3.7.	434 396	74 829
სხვა არსააქტივო ხარჯი	3.8.	(99 315)	(17 794)
(ზარალი)/მოგება მოგების გადასაბადით დაბეგურამდე		1 613 260	2 431 597
მოგების გადასაბადის ხარჯი		(1 139)	(4 224)
წლი (ზარალი)/მოგება		1 612 122	2 427 372
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლი (ზარალი)/მოგება		1 612 122	2 427 372

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე 

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ქართული ლარი

შენიშვნა

31.12.2023

31.12.2022

აქტივები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		448 207	382 154
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		6 836 146	7 585 422
გადახდილი ავანსები		271 824	504 132
მარაგები	3.1.	5 162 822	4 536 839
სხვა მიმდინარე აქტივები		27 522	56 453

სულ მოკლევადიანი აქტივები

12 746 520

13 065 000

ძირითადი საშუალებები	3.2.	4 320 373	3 767 718
არამატერიალური აქტივები	3.2.	3 879	4 911
შვილობილ და შეკავშირე საწარმოში ინვესტიციის თვითღირებულება		618 383	618 383

სულ აქტივები

17 689 154

17 456 011

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	3.3.	1 449 278	2 017 811
საგადასახადო ვალდებულებები		108 113	29 811
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		1 681 907	258 429
სასესხო ვალდებულებები	3.4.	2 425 252	4 557 479

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

5 664 550

6 863 529


საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		12 024 504	10 592 383

სულ კაპიტალი და ვალდებულებები

17 689 154

17 456 011

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე 

შპს „შვიდი მითი“ (კონსოლიდირებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ლარი	2023 წ.	2022 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისგან მიღებული ფულადი სახსრები	23 911 369	22 383 601
გადახდილი გასაძრუელოები	(1 519 043)	(1 392 694)
გადახდილი სავაჭრო და სხვა ამგვარი ვალდებულებები	(15 987 332)	(15 501 196)
გადახდილი გადასახადები	(3 886 634)	(3 872 860)
სხვა ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	946 849	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	3 465 208	1 616 850
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ფულადი სახსრების გასვლა გრძელვადიანი აქტივების შეძენისას	(790 473)	(779 092)
მიღებული პროცენტები	42 405	40 069
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(748 068)	(739 023)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხის მიღება	8 541 933	8 872 998
მიღებული სესხის გადახდა	(10 641 520)	(9 506 258)
სესხის გაცემა	(479 568)	-
გაცემული სესხის დაბრუნება	488 997	-
გაცემული დივიდენდები	(171 000)	(472 000)
გადახდილი პროცენტები	(418 510)	(429 745)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	(2 679 668)	(1 535 005)
წმინდა ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა) წლის განმავლობაში	37 472	(657 177)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	382 154	1 078 893
ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულადი სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	28 581	(39 562)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	448 207	382 154

დირექტორი

რამაზ ანდლულაძე 